

ჭიათურის მანგანუმის ზემოქმედება ნიადაგებზე იმერეთის რეგიონში

მ. ავქოფაშვილი

ელ-ფოსტა: marika.avkopashvili@gmail.com

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის დეპარტამენტი

გარემოს დაბინძურების თვალსაზრისით, ნიადაგების მძიმე ლითონებით დაბინძურება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, რომლის გამომწვევ ფაქტორად უმეტესწილად თანამედროვე ინდუსტრიალიზაცია გვევლინება. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ჭიათურისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებში მოქმედი მანგანუმის საწარმო ნეგატიურ გავლენას ახდენს ნიადაგებზე, რამდენადაც მის დაბინძურებას იწვევს ისეთი მძიმე ელემენტებით, როგორცაა მანგანუმი, სპილენძი, თუთია, ტყვია და დარიშხანი. ამასთან, ეს ელემენტები უფრო მეტი კონცენტრაციით აღმოჩნდა იქ, სადაც მანგანუმის შემდგომი გადამუშავება მიმდინარეობს (ქ. ზესტაფონი), ვიდრე მანგანუმის მომპოვებელ ზონაში (ქ. ჭიათურა), რაც შესაძლოა იმით აიხსნას რომ მანგანუმის გადამუშავებისას ჰაერში გამოიყოფა მავნე აეროზოლები, რაც ნიადაგების დაბინძურებას იწვევს, ამას ადასტურებს 2016-2017 წლებში გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის შედეგები, რომლის მიხედვითაც ჰაერში მანგანუმის დიოქსიდისა და მტვრის კონცენტრაციები აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმებს. რაც შეეხება სპილენძის, თუთიის, ტყვიისა და დარიშხანის შემცველობებს ნიადაგებში, ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს ყველა აღნიშნული ლითონი აჭარბებს.